პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

№ 142 (1156) | ხუთშაბათი, 28 ნოემბერი, 1957 წ. | გამოცემის მე-14 წელი | ფასი 30 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# გავხდეთ თასის პირველი მფლობელი!

შეიძლება თამამად ითქვას, რომ ფეხბურთი ჩვენს რესპუბლიკაში ერთ-ერთი ყველაზე უფრო მასობრივი და პოპულარული სპორტია. საქართველოს პირველობის გათამაშებაში მხოლოდ სპორტის ამ სახეობაში მონაწილეობს რესპუბლიკის თითქმის ყველა რაიონი. გვყავს საბჭოთა კავშირში ცნობილი გუნდები—თბილისის „დინამო“, ოფიცერთა სახლის სპორტული კლუბი, ქუთაისის „ლოკომოტივი“ და ძირეულ კოლექტივებში საუკეთესო თბილისის ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს ფეხბურთელთა გუნდი. ერთი სიტყვით ჩვენში ფეხბურთი საკმაოდაა განვითარებული, ამის მიუხედავად იგი დღეისათვის არამც და არამც არ პასუხობს რესპუბლიკის სპორტის მოყვარულთა გაზრდილ მოთხოვნებს. ჩვენ იმის ყველა პირობა გვაქვს, რომ მრავლად გვყავდეს მაღალი კლასის სპორტსმენები და მონოლითური კოლექტივები.

ამ საკითხზე იმსჯელა ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკურმა კომიტეტმა და გადაწყვიტა 9-17 დეკემბრამდე თბილისში ჩაატაროს რესპუბლიკური შეჯიბრება გარდამავალ თასზე, რომელსაც „ახალგაზრდობა“ ეწოდა.

აი, ამ შეჯიბრების შესახებ კომიტეტის ბრძანების შინაარსი:

გათამაშებაში დაიშვება 17-20 წლის ფეხბურთელები. ყოველ გუნდში უნდა იყოს 15 მოთამაშე, რომელთა რიცხვში შევა ორი მეკარე და ერთი მწვრთნელი. რესპუბლიკა დაყოფილია შემდეგ ზონებად: სოხუმის (აფხაზეთის ასსრ), ბათუმის (აჭარის ასსრ), სტალინირის (სამხრეთ ოსეთის რაიონები, .გორი, ხაშური), ქუთაისის (ქუთაისი, წულუკიძე, ტყიბული, წყალტუბო), ფოთის (ფოთი, ცხაკაია, ზუგდიდი, აბაშა, ხობი), მახარაძის, (მახარაძის, ჩოხატაურის, ლანჩხუთის, სამტრედიის რაიონები), თელავის (თელავის, სიღნაღის, გურჯაანის, ყვარლის, რაიონები), თბილისის ახალგაზრდული ფეხბურთის სკოლა და თბილისის I და II ნაკრები.

შეჯიბრება ჩატარდება წრიული სისტემით ორ ქვეჯგუფში, ფინალამდე შეხვედრები მოეწყობა 35-35 წუთს თვითეული ნახევარი. ფინალი კი — ჩვეულებრივი წესით. შეჯიბრების მთავარ მსაჯად დამტკიცებულია სპორტის დამსახურებული ოსტატი შ. შავგულიძე, „დინამოსა“ და „ბურევესტნიკის“ სტადიონების დირექციებს დაევალათ ყოველმხრივი დახმარება გაუწიონ შეჯიბრების მსაჯთა კოლეგიას ამ გათამაშების სანიმუშოდ ჩატარებისათვის. ასეთივე მითითება მიეცათ აფხაზეთის, აჭარის, სამხრეთ ოსეთის, ფოთის, ქუთაისის, მახარაძის, თელავის, თბილისის კომიტეტებს. მათ აგრეთვე ევალებათ რესპუბლიკური კომიტეტის წარმომადგენლებთან ერთად აქტიური მონაწილეობა მიიღონ გუნდების დაკომპლექტებაში.

ახალგაზრდული გუნდების დაკომპლექტებისათვის 8 დეკემბრამდე მივლინებული არიან შემდეგი ამხანაგები: კ. მესხი (სოხუმი), ა. გალპერინი (ბათუმი), გ. ქუმბურიძე (სტალინირი), მ. ბერძენიშვილი (ქუთაისი), გ. ბაქანიძე (ფოთი), ვ. ნარიმანიძე (მახარაძე), ვ. შავდია (თელავი).

როგორც ვხედავთ, ეს ღონისძიება მეტად მნიშვნელოვანია. მან სტიმული უნდა მისცეს ახალგაზრდობას შორის ფეხბურთის შემდგომ განვითარებას, გამოავლინოს ნიჭიერი ახალგაზრდობა, რომლებიც შეავსებენ ჩვენი ფეხბურთის რეზერვს და, რაც მთავარია, მისი მეოხებით კომიტეტს და ფეხბურთის რესპუბლიკურ სექციას ნათელი წარმოდგენა ექნებათ თუ რომელი რაიონი როგორ გამოიყურება ამ სახეობაში და რომელ რაიონს სჭირდება მეტი დახმარება.

როგორც ვხედავთ, შეჯიბრების მიზნები და ამოცანები მეტად სერიოზულია და მისი ცხოვრებაში გატარება ფიზკულტურისა და სპორტის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების ღირსების საქმეა. გათამაშების მონაწილე კოლექტივებმა მთელი თავიანთი შესაძლებლობა, ენერგია და ტექნიკა უნდა ჩააქსოვონ ყოველ მატჩს, რათა რესპუბლიკური კომიტეტის მიერ დაწესებულ ამ საპატიო ჯილდოზე — თასზე, რომელსაც „ახალგაზრდობა“ ეწოდება, აღნიშნოს მისი პირველი მფლობელის სახელი. ეს შეჯიბრება გამოავლენს არა მარტო ფეხბურთელებს, არამედ მწვრთნელებსაც. გათამაშების კალენდარული მატჩები დაგვანახებს, თუ როგორი გულისხმიერებით ეკიდებიან ისინი მათზე დაკისრებულ მოვალეობას, როგორ ზრუნავენ ბავშვთა შორის სპორტის ამ ატლეტური სახეობის დანერგვაზე. ზონებიდან გუნდები თბილისში ყოველმხრივ მომზადებულნი უნდა ჩამოვიდნენ. ამისათვის საჭირო იქნება გუნდების მიერ დროებით შეწყვეტილი წვრთნა დაუყოვნებლივ განახლდეს, გაცხოველდეს პოლიტაღმზრდელობითი მუშაობა, სათანადო ორგანიზაციებმა სპორტული ფორმით და ინვენტარით მოამარაგონ გუნდები.

დედაქალაქის სპორტული საზოგადოებრიობა იმედოვნებს, რომ ეს შეჯიბრება უაღრესად დაძაბული და ნაყოფიერი იქნება. იმედია, რომ მოედანზე ვიხილავთ ჩვენი ფეხბურთის მომავალს. მწვანე ყლორტებს, რომლებიც მალე გამაგრდებიან, დავაჟკაცდებიან და მხარში ამოუდგებიან რესპუბლიკის წამყვანი გუნდების წევრებს.

ქება და დიდება იმ ახალგაზრდულ კოლექტივს, რომელიც ცხარე ბრძოლაში მოიპოვებს საპატიო ჯილდოს — „ახალგაზრდობას“, ქება და დიდება იმ კოლექტივებს, იმ მწვრთნელებს, რომლებიც აღზრდიან მაღალი კლასის ფეხბურთელებს, ისეთებს, რომლებსაც თავდავიწყებით ეყვარებათ ფეხბურთი და უაღრესად პატივს სცემენ რესპუბლიკის სპორტულ ღირსებას!

# დ. ბრონშტეინი ითამაშებს დალასის ტურნირში

როგორც ამას წინათ ვიუწყებოდით, ამერიკის შეერთებულ შტატების ტეხასის შტატის ქალაქ დალასში ეწყობა დიდი საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ ევროპისა და ამერიკის გამოჩენილი გროსმაისტერები.

ამერიკის შეერთებული შტატების საჭადრაკო ფედერაციის მიწვევით დალასის დიდ საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობას მიიღებს საბჭოთა გროსმაისტერი დ. ბრონშტეინი, რომელიც უკვე გაემგზავრა ამერიკაში.



**რევაზ ცირეკიძე**

სსრ კავშირის 1957 წლის ჩემპიონი დაშნით ფარიკაობაში.

←

**იური ოსიპოვი**

სსრ კავშირის 1957 წლის პირველობის პრიზიორი რაპირით ფარიკაობაში.

→

# საბჭოთა ჰოკეისტები კანადაში

კანადაში დიდ ინტერესს იწვევს მოსკოვის ჰოკეისტთა ნაკრები გუნდის გამოსვლები. მოსკოველთა წინააღმდეგ პირველ მატჩში გამოვიდა კანადის უძლიერესი მოყვარულთა გუნდი „უიტბი დანლოპსი“, რომელიც გაძლიერებული იყო რამდენიმე პროფესიონალი ჰოკეისტით. „უიტბი დანლოპსი“ თავისი კლასით აღემატება კანადის ყველა გუნდს, რომლებთანაც საბჭოთა ჰოკეისტებს დღემდე უთამაშიათ.

მოსკოველებმა სწრაფ ტემპში, დარწმუნებულად დაიწყეს თამაში. უკვე პირველ წუთზე პანტიუხოვმა გახსნა ანგარიში, ხოლო მეორე წუთზე ალექსანდროვის დარტყმის შემდეგ ანგარიში გახდა 2:0 მოსკოველთა სასარგებლოდ.

შემდეგ 2 წუთის განმავლობაში კანადელებმა სამოლენკომ და ოკონორმა ზედიზედ გაქვითეს ორივე გოლი. პირველი პერიოდის დამთავრებამდე შაიბა კიდევ სამჯერ იქნა გატანილი მოსკოველთა კარში — 5:2. მეორე პერიოდში საბჭოთა გუნდი გაცილებით უკეთესად თამაშობდა, მაგრამ თავდასხმაში არ იქნა გამოყენებული რამდენიმე კარგი შესაძლებლობა — 0:0.

მესამე პერიოდში მაკენზიმ და ბერნსმა კიდევ ორი შაიბა გაიტანეს და მატჩი დამთავრდა „უიტბი დანლოპსის“ გამარჯვებით — 7:2.

მეორე შეხვედრა მოსკოვის ნაკრებს ჰქონდა ქ. ვინძორში, „ვინძორ ბულდოგსთან“.

პირველი პერიოდის შემდეგ წინ იყვნენ კანადელები — 3:2. მეორე პერიოდის შემდეგ განსხვავებამ ანგარიშში კიდევ უფრო იმატა და 5:2-ს მიაღწია.

მესამე პერიოდში მოსკოველმა ჰოკეისტებმა შეძლეს 3 „მშრალი“ შაიბის გატანა და მატჩი დამთავრდა ფრედ — 5:5.

# მსოფლიო რეკორდი

კიევი. ოფიცერთა სახლის მიერ მოწყობილ სპორტულ საღამოზე შესანიშნავ შედეგს მიაღწია ქვემძიმე წონის ძალოსანმა პ. მატიუხამ (საბჭოთა არმია).

მან აჰიმა 148 კილოგრამი, რაც 0,5 კილოგრამით აღემატება საბჭოთა სპორტსმენის ა. ვორობიოვის მიერ XVI ოლიმპიურ თამაშებზე დამყარებულ მსოფლიო რეკორდს.

# მოჭიდავეთა ჩემპიონატი

ლენინგრადის ოფიცერთა სახლის სპორტდარბაზში მიმდინარეობს სსრ კავშირის პირად-გუნდური ჩემპიონატი კლასიკურ ჭიდაობაში, რომელშიც მონაწილეობენ ჩვენი ქვეყნის უძლიერესი მოჭიდავეები — მსოფლიოს, ევროპისა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონები. ხალიჩაზე იბრძვის 20 გუნდის 242 მოჭიდავე.

საქართველოს მოჭიდავეთაგან პირველ წრეში დამარცხება განიცადეს გველესიანმა და შენგელიამ. ფრედ დაამთავრეს შეხვედრები ჩიტაიშვილმა და ზ. ჭითავამ. ქულებით გამარჯვება მოიპოვეს ლუდუშაურმა, ძნელაძემ, სეფაშვილმა, ქორიძემ, გვანცელაძემ, აბაშიძემ და გ. ჭითავამ.

დიდ წარმატებას მიაღწია ო. ეგაძემ, რომელმაც მე-8 წუთზე სუფთად მოიგო სპორტის დამსახურებული ოსტატ ნ. გარაევთან.

შეხვედრებიდან აღსანიშნავია მსოფლიო ჩემპიონ მანეევის წაგება ბელორუსიის ჩემპიონ ჩუჩელოვთან.

პირველობა გუშინ დამთავრდა. შეჯიბრების დაწვრილებითი ანგარიში იხილეთ შემდეგ ნომერში.

**გ. ვარძელაშვილი,**
ჩვენი სპეც. კორესპონდენტი.

# ვინ გადავა „ა“ კლასში

◆

## გათამაშების ცხრილი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ო ს კ (თბილისი) | 3 | 1 | 1 | 1 | 3:3 | 3 |
| „სპარტაკი“ (სტანისლავი) | 3 | 1 | 1 | 1 | 5:5 | 3 |
| „ავანგარდი“ (ლენინგრადი) | 2 | 1 | 0 | 1 | 3:3 | 2 |

◆

გუშინ ტაშკენტის „პახტაკორის“ სტადიონზე გაიმართა „ბ“ კლასში გამარჯვებული გუნდების ფინალური შეხვედრების მორიგი ტური. თამაშობდნენ სტანისლავის „სპარტაკისა“ და თბილისის ოფიცერთა საოლქო სპორტული კლუბის ფეხბურთელები.

მოედნის არახელსაყრელი ზედაპირის მიუხედავად შეხვედრა თავიდანვე სწრაფ ტემპში დაიწყო. განსაკუთრებით აქტიურობდნენ თბილისელები, მაგრამ სასურველი შედეგი დიდხანს არ ჩანდა. ერთ-ერთი შეტევის დროს თბილისელმა თავდამსხმელებმა ისარგებლეს „სპარტაკის“ მცველებისა და მეკარის შეუთანხმებლობით და გახსნეს ანგარიში — 1:0. ასე დამთავრდა პირველი ნახევარი.

მეორე ნახევარში თბილისელებმა ტემპს უკლეს, დაიკარგა გადაცემათა სიზუსტე, სამაგიეროდ, სპარტაკელები ენერგიულად იბრძოდნენ ყოველი ბურთისათვის და ხშირად ქმნიდნენ სახიფათო მომენტებს. შედეგმა არ დააყოვნა — 1:1. პირველი წარმატებით აღფრთოვანებულმა სტანისლაველებმა განახორციელეს რამდენიმე სახიფათო გარღვევა და მე-10 წუთზე ზედიზედ მიაწოდეს ორი კუთხური. თბილისელებმა შესძლეს საჯარიმო მოედნიდან ბურთის გამოტანა, მაგრამ სწორედ იმ დროს, როცა საშიშროება უვნებელყოფილი იყო, შორიდან ძლიერი დარტყმით სტანისლაველებმა გაიტანეს მეორე გადამწყვეტი ბურთი.

დარჩენილ დროში სპარტაკელებმა ვერ გამოიყენეს 11-მეტრიანი საჯარიმო, განმეორებით დარტყმის შემდეგ კარგად მოიგერია იგი ჭაპტურიამ, რომელმაც ივანოვი შეცვალა.

მატჩი დამთავრდა თბილისელთა დამარცხებით ანგარიშით 1:2.

# სპორტული სიარული

**ა. ტარასევიჩი,**
საკავშირო კატეგორიის მსაჯი





















სიარული წარმოადგენს ადგილგადანაცვლების ყველაზე ბუნებრივ ხერხს. სპორტული სიარული კი, რომელიც შეაქვთ მძლეოსანთა ყველა დიდ შეჯიბრებაში, დიდი დისტანციების მაღალი სისწრაფით გავლის საშუალებას გვაძლევს, რაც მიიღწევა სიარულის ტემპის გაძლიერებით და, რაც მთავარია, ნაბიჯის სიგრძის გაზრდით.

სპორტული სიარულის სისწრაფე მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია ნაბიჯის სიხშირეზე.

მაგალითად, ჩვეულებრივი სიარულის დროს ნაბიჯის სიხშირე წუთში 120-მდე ადის, სპორტული სიარულის დროს კი 200-ზე მეტია.

სპორტული სიარულის წესები ითვალისწინებენ, რომ სიარულის დროს მიწაზე ბრჯენა არ უნდა წყდებოდეს, ესე იგი სიარულის დროს ადგილი არ უნდა ექნეს ეგრეთწოდებულ „უბრჯენო ფაზას".

სიარულის დროს ერთმანეთს ენაცვლებიან სწრაფმავალის ერთბრჯენიანი და ორბრჯენიანი მომენტები.

ადამიანის ადგილგადანაცვლებისას მთავარ მუშაობას ასრულებენ ფეხების კუნთები. ამიტომ სპორტული სიარულის ტექნიკის განხილვისა და ანალიზის დროს პირველ რიგში განიხილავენ ფეხების მოძრაობას.

სიარულის დროს მოძრაობის ციკლის მიმდინარეობის ყოველი ფეხი ხან საბრჯენია, ხან ამქნევი.

სპორტული სიარულის ტექნიკის გაანალიზებისას გავარჩიოთ XVI ოლიმპიური თამაშების პრიზიორის ანთანას მიკენასისა და საქართველოს სსრ საუკეთესო სწრაფმავალი ალექსანდრე შჩერბინას სიარულის კინოგრამა.

1 სურათზე ა. მიკენასი (მიდის მეორე), იმყოფება ერთბრჯენიან მდგომარეობაში ვერტიკალის მომენტში, როცა სწრაფმავალის სიმძიმის საერთო ცენტრი ზუსტად საბრჯენი ტერფის ზევითაა. ამ მომენტში საბრჯენი ფეხი გამართულია, მუხლში მოხრილი მეორე ფეხი (ამქნევი) კი წინ გააქვს ბარძაყს.

სიმძიმის საერთო ცენტრის წინ გადანაცვლებასთან ერთად საბრჯენი ფეხი ვერტიკალურიდან დახრილ მდგომარეობაში გადადის და ერთთავად გამართული რჩება (2 სურათი):

ზღვრულ დახრას ფეხი აღწევს მაშინ, როცა იგი მთელი ტერფიდან წვერზე გადადის (3 სურათი). ამ გადასვლისას ტერფი იშლება ზღვრამდე. ეს მდგომარეობა ყველაზე მნიშვნელოვანი ფაზაა სიარულში, ვინაიდან იგი ამთავრებს არეკნს, რომლის ხარჯზეც სწრაფმავალი აწარმოებს წინსვლას.

იმ დროს, როცა მთლიანად გაშლილი ტერფი ჯერ კიდევ წვერით გრუნტს ეხება, მეორე ფეხი, ამთავრებს რა გამართვას, ქუსლით იდგმება ბილიკზე (3 სურათი).

იქმნება სიარულისათვის დამახასიათებელი მდგომარეობა — ორმაგი ბრჯენი: სწრაფმავალი გრუნტს ეყრდნობა უკან მყოფი ფეხის წვერით და გამართული, წინ გადგმული ფეხის ქუსლით (3 სურათი).

ამას მოჰყვება მდგომარეობა, როცა სწრაფმავალი ორბრჯენიანი მდგომარეობიდან გადადის ერთბრჯენიანზე და ეყრდნობა წინ გადგმულ ფეხს (4 სურათი).

ამქნევი ფეხი მიდის წინ და განაგრძობს მოხრას მუხლის სახსარში, რომლის მოხრის უდიდესი ფაზა მიიღწევა ვერტიკალის მომენტში (1 და 4 სურათი). განაგრძობს რა მოძრაობას, ამქნევი ფეხი ბარძაყით ადის ზევით და ერთდროულად ხდება მისი გაშლა მუხლის სახსარში (5; 6 და 7 სურათი). დაამთავრებს რა ამ მოძრაობას, ამქნევი ფეხი საბრჯენ ფეხად იქცევა (8 სურათი).

სპორტსმენთა ყურადღებას მივაქცევთ კიდევ იმას, რომ ფეხი გრუნტზე წინიდან ქუსლით შეხების მომენტში (3, 7 და 8 სურათი) უკანიდან არეკნის დამთავრებამდე ერთთავად გამართული უნდა იყოს. სწორედ ამიტომ სპორტულ სიარულს „გამართული ფეხებით" სიარული ეწოდება.

შემდეგი კადრები (9 და 10 სურათი) ახასიათებენ სწრაფმავალის მომდევნო მოძრაობებს, რომლებიც სპორტსმენს აყენებს ერთბრჯენიან მდგომარეობაში — ვერტიკალის მომენტი.

ა. მიკენასი აჩვენებს ტანის თავისუფალ მდგომარეობას. მას ტანი „მიაქვს" დაუძაბავად და ვერტიკალურად (სწორედ ამას მოითხოვენ წესები), ხოლო თავი თავისუფლად უკავია. ა. შჩერბინა ზედმეტად ძაბავს ტანს, თავიც დაძაბულად „მიაქვს".

სწრაფმავალის ხელების მუშაობას დიდი მნიშვნელობა აქვს. ისინი ასრულებენ არამარტო წონასწორობის დამცველის როლს, არამედ, აგრეთვე გავლენას ახდენენ სპორტსმენის ყველა მოძრაობაზე, რადგან ნაბიჯების რიტმი, სიხშირე და სიგრძე დამოკიდებულია ხელების მუშაობაზე. ამ დროს ხელები მოძრაობენ იდაყვში ძლიერ მოხრილი.

არ უნდა დავივიწყოთ, რომ სიარულის ტექნიკის ხარისხი დამოკიდებულია მოძრაობის ეკონომიურობაზე. მექანიკის კანონების თანახმად მოძრაობა უნდა იყოს თანაბარი და სწორხაზობრივი, და ეს მით უფრო ადვილად მიიღწევა, რაც უფრო მაღალია სიარულის ტემპი.

სიარულის ტექნიკის დაუფლებისათვის აუცილებელია ყურადღება მიექცეს ძირითად მოთხოვნას—მოდუნების მომენტს. უნდა იძაბებოდეს და იკუმშებოდეს მხოლოდ მომუშავე კუნთები, ყველა დანარჩენი კუნთი კი მოდუნებული იყოს.

მიუხედავად მაღალი ტემპისა, სწრაფმავალის მოძრაობა არ უნდა იყოს მკვეთრი და მოუხეშავი. ტექნიკურად მოსიარულე სპორტსმენი გვაოცებს მოძრაობის სინარნარით, რაც კარგად ჩანს ა. მიკენასის სიარულის ამსახველ კინოგრამაზე.

---

## საინტერესო შეხვედრა

ამ დღეებში საინტერესო შეხვედრა შედგა თბილისის ელმავალმშენებელი ქარხნისა და „პლასტმასის" ქარხნის სპორტსმენთა შორის ჭადრაკსა და მაგიდის ჩოგბურთში.

ორივე სახეობაში გამარჯვება მოიპოვეს ელმავალმშენებელი ქარხნის სპორტსმენებმა. ჭადრაკში მათ გაიმარჯვეს ანგარიშით 5,5:2,5, ხოლო მაგიდის ჩოგბურთში — ანგარიშით 3:2.

**გ. ფამილიანტი**

## ეზოს სპარტაკიადა

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავს მიეძღვნა შაუმიანის ქ. № 63–65 ეზოს სპარტაკიადა, რომელიც ადგილობრივი ახალგაზრდობისა და 26 კომისრის სახელობის რაიონის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის დახმარებით მოეწყო. პროგრამაში იყო მძლეოსნობა, ფრენბურთი, კალათბურთი, მაგიდის ჩოგბურთი და ჭადრაკი. სპორტულ ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს ეზოში მცხოვრებმა სტუდენტებმა, სხვადასხვა საწარმოში მომუშავე ახალგაზრდებმა, მოსწავლეებმა.

საერთო გუნდურ ჩათვლაში პირველი ადგილი და სპარტაკიადის აბსოლუტური ჩემპიონის სახელი „ბ" კორპუსის კოლექტივმა მოიპოვა.

**გ. კვიმსაძე,**
შეჯიბრების მთავარი მსაჯი.

## მოტოკროსი

ასპინძის ფიზკულტურისა და სპორტის რაიონულმა კომიტეტმა კომკავშირის რაიკომთან ერთად ჩაატარა ოქტომბრის რევოლუციის მე-40 წლისთავისადმი მიძღვნილი მოტოკროსი მარშრუტით: ასპინძა-ახალქალაქი-ბაკურიანი-ბორჯომი - ახალციხე-ასპინძა. ლაშქრობამ წარმატებით ჩაიარა.

**ვ. ცინაძე**

---

## ფრე

გუშინ, თბილისში შედგა მატჩი ფეხბურთში „ბ" კლასის გუნდების პირველ ნაკრებსა და თბილისის „დინამოს" ოსტატებს შორის.

უკვე მატჩის დასაწყისში „ბ" კლასის ნაკრებმა გაიტანა გოლი მასპინძელთა კარში — პონედელნიკმა რამდენიმე მცველთან ბრძოლაში უძლიერესი დარტყმით გახსნა ანგარიში.

ეს გოლი არ იყო „დინამოს" შემთხვევითი მარცხი. თბილისელები მთელი მატჩის განმავლობაში თამაშობდნენ აბნეულად, ქაოტურად, ყოველგვარი გეგმისა და სისტემის გარეშე. გუნდის ვერც ერთ მოთამაშეზე (ს. კოტრიკაძე ელოშვილი, ძიაპშიპა, ხოჭოლავა, კილაძე, რამიშვილი (ჩოხელი), ა. კოტრიკაძე, გაგნიძე, იამანიძე, ბარქაია, მესხი) ვერ ვიტყვით, რომ რომელიმე მათგანმა დამაკმაყოფილებლად ჩაატარა შეხვედრა. გუნდი აშკარად სუსტი იყო. „ბ" კლასის ფეხბურთელებს ბურთის გატანის გაცილებით უკეთესი შესაძლებლობანი ჰქონდათ, ვიდრე „ა" კლასის ოსტატებს.

მხოლოდ მატჩის ბოლოს, 84-ე წუთზე შეძლეს დინამოელებმა ანგარიშის გათანაბრება (იამანიძე) და თავის დაღწევა დამარცხებისაგან.

**ნ. თევზაძე**

---

# დაუსრულებელი მშენებლობა

კარგი ტრადიციების მქონეა ა. ს. პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზკულტურული კოლექტივი. თბილისში ერთ დროს უძლიერესებად ითვლებოდნენ ამ სასწავლებლის ტყვიით მსროლელი გოგონები. ამ კოლექტივში გაიზარდა მრავალი სპორტსმენი, რომლებსაც ბევრჯერ უსახელებიათ რესპუბლიკა საკავშირო შეჯიბრებებზე. ინსტიტუტის ღირსებას სხვადასხვა დროს იცავდნენ სპორტის ოსტატები ტანვარჯიშში: ჯაიანი, კაჭახიძე, გარანციონი, VI მსოფლიო ფესტივალის ოქროს მედლის მფლობელი წერეთელი, მოკრივე ანდღულაძე, ველოსიპედისტები: მასლენიკოვი და ჯოხაძე, მოჭიდავე არსენიანი, კალათბურთელი გრიგორიანი და ა. შ.

ოცდაოთხ ახალ სასწავლო წელს მოითვლის ინსტიტუტი, 22-ჯერ შეხვდნენ სპორტულ ზამთარს... მოუმზადებლები. ამ ხნის განმავლობაში მათ არასოდეს არ ჰქონიათ საკუთარი სპორტული ბაზები, სადაც შეიძლებოდა რეგულარული ვარჯიშები ამ კარგი ტრადიციების შესანარჩუნებლად, რომელიც წლების განმავლობაში დაძაბული შრომის შედეგად მოიპოვეს, მაგრამ ფიზკულტურის კოლექტივი მაინც მუშაობდა... მეზობლების ბაზებზე, სხ-ის მოედნებზე ღებულობდნენ აზერბაიჯანისა და სომხეთის პედაგოგიური ინსტიტუტის სპორტულ დელეგაციებს. ლენინის სახელობის სპორტდარბაზში გამართეს ამას წინათ ორი შეხვედრა ვ. ი. ლენინის სახელობის მოსკოვის პედაგოგიური ინსტიტუტის ფრენბურთელებთან. სხვა დაწესებულებათა სპორტული ბაზებით სარგებლობაზე ყოველწლიურად 25 ათასამდე მანეთი (!) იხარჯება.

უკანასკნელ წლებში საკმაოდ გაფართოვდა ინსტიტუტი, აშენდა ახალი კორპუსი, მაგრამ სპორტული დარბაზის მშენებლობა „მხედველობიდან გამორჩათ". ბოლოს, როგორც იყო, განათლების სამინისტრომ მიიღო დადგენილება ინსტიტუტის სპორტდარბაზის მშენებლობის შესახებ და ოთხი წლის განმავლობაში დადგენილება დადგენილებად დარჩა. მხოლოდ ინსტიტუტის გახსნის მე-18 წლისთავზე, 1953 წელს დაიძრა ადგილიდან საქმე — დაიწყო ინსტიტუტის კიდევ ერთი კორპუსის მშენებლობა, რომლის პროექტით გათვალისწინებული იყო შესანიშნავი სპორტული დარბაზის მოწყობა.

ვინ იცის, რამდენი ოფლი დაღვრეს დარბაზის მშენებლობის დასაჩქარებლად მომავალმა პედაგოგებმა, რომლებიც ხალისით ეხმარებოდნენ მუშებს. სამშენებლო ორგანიზაციის მოუქნელი საქმიანობის გამო კი ყოველწლიურად საკმაო თანხა რჩებოდა აუთვისებელი.

„თბილმთავარმშენის" მეორე სამშენებლო უბნის მესვეურებმა ბოლოს და ბოლოს ახალი გამოსავალს დაუწყეს ძებნა და იპოვეს კიდევაც. ინსტიტუტის კოლექტივის წინაშე საზეიმო აღთქმა დადეს: შენობის დამთავრებამდე პირველი მაისის დღესასწაულისათვის ჩაიბარებინათ საექსპლოატაციოდ დარბაზი. დადგა ეს დღეც, მიილი: ივნისი, სტუდენტები არდადეგებზე გაემგზავრნენ, მშენებელთა პირობა კი განუხორციელებელი დარჩა.

— გვაპატიეთ პირობის გატეხა, სამაგიეროდ პირველი სექტემბრისათვის უეჭველად მზად იქნება, ახალ სასწავლო წელს საზეიმოდ ახალ დარბაზს დავხვდებით, — განაცხადეს და საქმეს შეუტიეს — შელესეს კედლები, მოაწყეს საშხაპეები და გასახდელები, მაგრამ... ვერ დააგეს იატაკი ვერ ააბეს კარები, ფანჯრები, თუმცა მათი ჩარჩოები კი დიდიხანია „დარბაზში" ყრია.

მაშინ „დარცხვენილმა" სამუშაოთა მწარმოებლებმა უკანასკნელ ვადად ოქტომბრის დღესასწაულის დღეები ითხოვეს და პრესის საშუალებით პირობა დადეს, რომ სიტყვას აღარ გატეხდნენ. ამჯერადაც მოტყუვდნენ სტუდენტები, მოტყუვდა ფიზკულტურის კათედრაც, რომელმაც საკუთარი ბაზების იმედით დროზე არ იზრუნა სხვა ბაზების დაქირავებისათვის.

ინსტიტუტისათვის დადგა 22-ე ზამთარი, სანუკვარი სპორტული დარბაზი კი მაინც არ ჩანს.

„თბილმთავარმშენის" მეორე სამშენებლო სამმართველოს მუშაკებს უკანასკნელ ვადად იქნებ ახალი წელი სურთ, მაგრამ ვაითუ...

**ვ. ხანდამიშვილი,**
**ო. გელაშვილი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჩოგბურთი

მეორე ტურში ერთმანეთს შეხვდნენ პოლიტექნიკური ინსტიტუტისა და უნივერსიტეტის კოლექტივები. მომავალმა ინჟინრებმა ძლიერად ჩაატარეს ყველა შეხვედრა და მოწინააღმდეგე დაამარცხეს მშრალი ანგარიშით—5:0. ფიზკულტურის ინსტიტუტისა და რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის გუნდების შეხვედრაში რკინიგზელებმა ორი ნოლი მიიღეს ტიმაშჩუკისა და კოლომიცევას გამოუცხადებლობის გამო, ხოლო ორ შეხვედრაში გაიმარჯვეს ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტებმა.

უკანასკნელ ტურში პოლიტექნიკური ინსტიტუტის კოლექტივმა ანგარიშით 4:1 სძლია რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის გუნდს და მოიპოვა პირველი ადგილი. მეორე ადგილის ბედი უნდა გადაწყვეტილიყო უნივერსიტეტისა და ფიზკულტურის ინსტიტუტის კოლექტივების შეხვედრაში. როგორც წინა მატჩში, ისე ახლაც უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა დაბალ დონეზე ჩაატარეს შეხვედრები და განიცადეს დამარცხება — 0:5.

## კალათბურთი

კალათბურთის გათამაშების მეორე ტურში საერთო ინტერესს იწვევდა ძველი მეტოქეების — უნივერსიტეტისა და პოლიტექნიკური ინსტიტუტის ვაჟთა და ქალთა გუნდების შეხვედრები.

ქალთა გუნდების მატ-
დაიწყო უნივერსი-
ტის გუნდის ძლიერი
რიშებით, მაგრამ მო-
ნააღმდეგეთა დაცვის
რგი თამაშის გამო, მათ ვერ
სძლეს გადამწყვეტი უპირატე-
ბის მოპოვება. პირველი ნახევა-
დამთავრდა 28:16 პოლიტექნიკუ-
ინსტიტუტის გუნდის სასარგებ-
ოდ.

მეორე ნახევრის დასაწყისში თი-
ამშვილის, გენგაშვილისა და პე-
ოდავას ზუსტი ტყორცნების შემ-
უნივერსიტეტის კოლექტივმა
ნიმუმამდე შეამცირა განსხვავება
არიშში. მაგრამ ბოლომდე ვერ
ნარჩუნა ინიციატივა და მატჩი
გო ანგარიშით 35:53.

აჟთა გუნდების შეხვედრაში აშ-
ა იყო პოლიტექნიკური ინსტი-
ტის სპორტსმენთა უპირატესობა.
ატჩიც მათი გამარჯვებით 74:57
თავრდა.

იზკულტურის ინსტიტუტმა დაა-
ცხა რკინიგზის ტრანსპორტის
ნერთა ინსტიტუტის ვაჟთა გუნ-
—76:44. ამ კოლექტივების ქალ-
გუნდების მატჩი არ შედგა რკი-
ს ტრანსპორტის ინჟინერთა
ტუტის კალათბურთელთა გა-
ცხადებლობის გამო.

ორე ჯგუფში მედინსტიტუტის
ა კოლექტივმა დაამარცხა პედ-
ტუტი — 64:49. სამაგიეროდ,
ა შეხვედრებში პედინსტიტუტე-
მა შესძლეს რევანშის აღება —
. ზოოვეტერინარული და უცხო
ს ინსტიტუტების ვაჟთა გუნ-
ს მატჩი დამთავრდა პირველთა
რჯვებით — 57:42. ქალთა გუნ-
ში გაიმარჯვეს უცხო ენების
იტუტის წარმომადგენლებმა —

# 1957-1960 წლების გეგმა

საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადის შედეგები და XVI ოლიმპიურ თამაშებზე საქართველოს სპორტსმენთა მიერ მოპოვებული წარმატებები, აგრეთვე ის თვალსაჩინო მიღწევები, რომლებიც საქართველოს სპორტულმა დელეგაციებმა ახლახან დამთავრებულ ამიერკავკასიისა და მოლდავეთის რესპუბლიკების სპარტაკიადაზე მოიპოვეს, რესპუბლიკის ფიზკულტურულ-სპორტული ორგანიზაციების მიერ მუშაობის მნიშვნელოვნად გაუმჯობესებაზე მეტყველებენ. ყოველივე ეს ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტებს, ნებაყოფლობით სპორტულ საზოგადოებებს, საუწყებო ორგანიზაციებსა და ყველა ძირეულ ფიზკულტურულ კოლექტივს ავალებს უზრუნველყონ მასობრივ-ფიზკულტურული და სასწავლო-სპორტული მუშაობის უფრო მაღალ დონეზე დაყენება.

ამ მიზნით ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკურმა კომიტეტმა შეიმუშავა სპორტის ოსტატებისა და თანრიგოსან სპორტსმენთა მომზადების 1957-1960 წლების კონკრეტული გეგმა სპორტის იმ 26 სახეობაში, რომლებიც შეტანილი იქნებიან საბჭოთა კავშირის ხალხთა მეორე სპარტაკიადის პროგრამაში.

1957-1960 წლების განმავლობაში რესპუბლიკის ყველა ფიზკულტურულ ორგანიზაციაში ნავარაუდევია მომზადდეს 415 სპორტის ოსტატი მაშინ, როცა განვლილი სამი წლის განმავლობაში მომზადებულ იქნა მხოლოდ 145 სპორტის ოსტატი, ამავე პერიოდში გეგმის მიხედვით პირველ თანრიგზე მომზადდება 4.156 სპორტსმენი, ე. ი. ორჯერ მეტი, ვიდრე 1953-56 წლებში.

ცხადია, კადრების ასეთი დიდი რაოდენობით მომზადება შესაძლებელია მხოლოდდამხოლოდ ფიზკულტურული ორგანიზაციების მუშაობის საფუძვლიანი გარდაქმნით, ძირეული კოლექტივების განმტკიცებით, მათდამი ხელმძღვანელობის გაუმჯობესებით.

უკანასკნელ წლებში სპორტის სახეობათა მიხედვით უმაღლესი კლასიფიკაციის სპორტსმენების მომზადების საქმეში რესპუბლიკის ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა და მწვრთნელებმა დააგროვეს მდიდარი გამოცდილება. ამჟამად მთავარ ამოცანას წარმოადგენს ამ გამოცდილების განზოგადება.

თუ დღემდე კვალიფიცირებული სპორტული კადრების მომზადება ხდებოდა უმთავრესად ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოებების ცენტრალურ სექციებში, შეკრებებზე და სპორტულ სკოლებში, ახლა სპორტული ოსტატობის მასობრივად ზრდის ამოცანა შეიძლება გადაიჭრას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სპორტსმენ-თანრიგოსნებისა და ოსტატების აღზრდა-მომზადების ორგანიზებას მოვახდენთ უშუალოდ ძირეულ კოლექტივებში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტმა დაამტკიცა 1957-1960 წლების გეგმა:

| გეგმები წლების მიხედვით | სსრკ სპორტის ოსტატი | პირველი თანრიგი | მეორე თანრიგი | მესამე თანრიგი | მოზარდთა თანრიგი |
|---|---|---|---|---|---|
| 1957 წ. . . . . | 70 | 706 | 2.400 | 15.200 | 7.200 |
| 1958 წ. . . . . | 95 | 950 | 3.600 | 17.500 | 8.750 |
| 1959 წ. . . . . | 120 | 1.200 | 4.800 | 24.000 | 12.000 |
| 1960 წ. . . . . | 130 | 1.300 | 5.200 | 26.000 | 13.000 |
| სულ . . . | 415 | 4.156 | 16.000 | 92.700 | 40.950 |

როგორც ცხრილი ცხადყოფს, ამოცანა მეტად რთული და საპატიოა, რაც ყველა ფიზკულტურულ ორგანიზაციას ავალებს უახლოეს ხანში ორ-სამჯერ გაზარდონ სექციებში მომეცადინეთა რიცხვი. განსაკუთრებული ყურადღება გადატანილ უნდა იქნას სასკოლო ფიზკულტურულ კოლექტივებზე, რადგან მოსწავლეთა შორის მუშაობის სწორად დაგეგმვაზე ბევრად არის დამოკიდებული მათი სპორტული დონის შემდგომი ზრდა.

**ნ. სომხიშვილი,**

**ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკური კომიტეტის საორგანიზაციო-მასობრივი მუშაობის განყოფილების უფროსი ინსპექტორი.**

## კვლავ 8:0

საბჭოთა კავშირში სტუმრად მყოფმა უნგრელმა სამბისტებმა მეორე ამხანაგური საერთაშორისო შეხვედრა ჩაატარეს ჩვენი ქვეყნის ჩემპიონის — „ბურევესტნიკის" მოჭიდავეებთან.

თავის გუნდს პირველი გამარჯვება მოუტანა უმჩატესი წონის მოჭიდავემ ლ. კაციაშვილმა. მას ყველაზე ნაკლები დრო—20 წამი დაჭირდა გამარჯვების მოსაპოვებლად დოჟას სახელობის კლუბის წარმომადგენელ — ქ. ფერენცთან. ა. ლუკიჩევმა ქულებით მოუგო იშტვან როტს.

მომდევნო ორი შეხვედრა კვლავ საბჭოთა სპორტსმენების სუფთა გამარჯვებით აღინიშნა. ქვემსუბუქი წონის მოჭიდავემ თ. ელერდაშვილმა დიულა როიმონი მტკივნეულ ილეთზე დაიჭირა. ასეთივე შედეგით გაიმარჯვა ა. კლუბნიჩკინმა ფ. დებნარზე. ქვესაშუალო წონის უნგრელმა მოჭიდავემ ლ. ზოტკომ შეუპოვარი წინააღმდეგობა გაუწია საბჭოთა სპორტსმენს ი. რიაზანოვს, რომელიც მცირე უპირატესობით გამარჯვებას დასჯერდა. საშუალო და ქვემძიმე წონებში საბჭოთა გუნდმა კვლავ გამარჯვებები ჩაიწერა აქტივში, მასთან ქვემძიმე წონის მოჭიდავემ ჰ. შულცმა სამ წუთში მტკივნეული ილეთით დაამარცხა ძლიერი უნგრელი მოჭიდავე დ. ვინცე. მძიმე წონაში მხოლოდ 25 წამით მეტი დრო დასჭირდა სპორტის ოსტატ ვ. ჩიკვილაძეს ი. მრენაზე სუფთა გამარჯვების მოსაპოვებლად.

ამრიგად, საბჭოთა სამბისტებმა მეორე საერთაშორისო შეხვედრაშიც კვლავ მაქსიმალური ანგარიშით გაიმარჯვეს უნგრეთის დოჟას სახელობის სპორტული კლუბის გუნდზე.

# სპარტაკიადა გრძელდება...

## მაგიდის ჩოგბურთი

პოლიტექნიკური ინსტიტუტის სპორტდარბაზში ორ დღეს გრძელდებოდა მაგიდის ჩოგბურთელთა შეხვედრები. პირველობამ ცხადჰყო, რომ თბილისის უმაღლეს სასწავლებლებში არასათანადო ყურადღება ეთმობა სპორტის ამ სახეობას, არ ზრუნავენ რეზერვისათვის, ცუდად მუშაობენ სექციები. ამ მხრივ განსაკუთრებით ჩამორჩებიან სასოფლო-სამეურნეო, ზოოვეტერინარული, თეატრალური ინსტიტუტები, კონსერვატორია და სამხატვრო აკადემია. პირველ დღეს პირველ ჯგუფში გაიმართა ორი შეხვედრა. მასპინძლებმა ადვილად დაამარცხეს ფიზკულტურის ინსტიტუტის მაგიდის ჩოგბურთელები—6:1. ხოლო სახელმწიფო უნივერსიტეტმა რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის გუნდთან 7 შეხვედრიდან ხუთში მოიპოვა გამარჯვება. შემდეგში პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდმა სძლია ყველა მოწინააღმდეგეს და დაიკავა პირველი ადგილი.

მეორე ჯგუფში მხოლოდ ორ შეხვედრაში მოპოვებული გამარჯვებით პირველ ადგილზე გამოვიდა სამედიცინო ინსტიტუტის კოლექტივი.

## ფრენბურთი

პირველობის ბედი პირველ ჯგუფში ფაქტიურად მეორე დღეს წყდებოდა, როცა ერთმანეთს შეხვდნენ პოლიტექნიკური და ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდები.

ქალთა გუნდებში ორი პარტიის შემდეგ ანგარიში იყო 1:1. მესამე გადამწყვეტ პარტიაში პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდმა შეძლო უპირატესობის მოპოვება და გაიმარჯვა.

ვაჟთა გუნდების შეხვედრაში პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდმა ადვილად შეძლო პირველი პარტიის მოგება. მაგრამ შემდეგში ფიზკულტურის ინსტიტუტის სპორტსმენები საგრძნობლად გააქტიურდნენ და შეძლეს ანგარიშის გათანაბრება. მესამე პარტია დამთავრდა პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდის გამარჯვებით.

შეჯიბრების მესამე დღეს უნივერსიტეტის ქალთა გუნდმა თავი აარიდა პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდთან შეხვედრას, რის გამო წაგება ჩაეთვალა. მატჩზე არ გამოცხადდა, აგრეთვე მასპინძელი — რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის ქალთა გუნდი, რომელსაც ამ დღეს მატჩი ჰქონდა ფიზკულტურის ინსტიტუტთან. პედაგოგიური და უცხო ენების ინსტიტუტების კოლექტივების შეხვედრაში იოლი გამარჯვება მოიპოვა პირველმა — 2:0. პოლიტექნიკური ინსტიტუტის ვაჟთა გუნდმა დაამარცხა უნივერსიტეტი და პირველი ადგილი გაინაღდა. ფიზკულტურის ინსტიტუტმა წააგო რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის ვაჟთა გუნდთან, რომელ-

**გაზეთ „ლელოს"**
**ბრიგადა**

◆

უკრაინის ქალაქ ტარნოპოლში შედგა პოლონეთისა და უკრაინის სოფლის სპორტსმენთა შეჯიბრება ძალოსნობაში, რომელიც დამთავრდა უკრაინელთა გამარჯვებით ანგარიშით 6:1.

• • •

**სურათზე:** სამახსოვრო ალმებსა და ჯილდოებს გადასცემენ ერთმანეთს პოლონელი და უკრაინელი სპორტსმენები.

ფოტო ბ. შენდლერისა.

◆



## ვილნიუსი

მოჭადრაკე ქალთა საკავშირო პირველობის VI ტურში მხოლოდ ოთხი პარტია დამთავრდა. დაძაბული და შინაარსიანი ბრძოლის შემდეგ ყაიმზე შეთანხმდნენ ოსტატები ბორისენკო და ზვორიკინა. ზატულოვსკაიამ ენერგიული თამაშით დაამარცხა გურფინკელი, ხოლო რუდენკომ — კაცკოვა. მშვიდი თამაშის შემდეგ ყაიმით დამთავრდა როოტარე-იგნატიევას შეხვედრა. დანარჩენი პარტიები არ დამთავრებულა. კაკაბაძეს დმიტრიევასთან და გაფრინდაშვილს ფილანოვსკაიასთან გადადებულ პოზიციებში უარესი მდგომარეობა აქვთ.

VI ტურის შემდეგ წინ არიან ვ. ბორისენკო — 4 ქულა და ერთი გადადებული პარტია და ს. როოტარე — 4 ქულა.

**მ. შიშოვი,**

**ჩვენი სპეც. კორესპონდენტი.**

## სვერდლოვსკი

X ტურის შემდეგ მოეწყო გადადებული პარტიების დამთავრება. გურგენიძემ სრულად ვერ გამოიყენა თავისი უპირატესობა იუხტმანთან პარტიაში და ყაიმით დაკმაყოფილდა. კორჩნოიმ მოუგო პრონოროვიჩს. დიდი ინტერესი გამოიწვია სიმაგინ-პოლუგაევსკის პარტიის დამთავრებამ. პოლუგაევსკიმ ზუსტი თამაშით მეტად საჭირო ქულა მოიპოვა. ყაიმით დასრულდა კოც-ხანოვის, კამინსკა-მუხიტდინოვის პარტიები. ბაგიროვმა მოუგო მუხიტდინოვს.

X ტურის შემდეგ ვ. კორჩნოის აქვს 7,5 ქულა, ბ. გურგენიძესა და ლ. პოლუგაევსკის—6,5 ქულა თვითეულს, ი. ავერბახს, რ. ხოლმოვს და ვ. სიმაგინს 6 ქულა თვითეულს.

**ლ. ჟღენტი,**

**ჩვენი სპეც. კორესპონდენტი.**

## კიევი

ტურნირის პირველი ნახევრის დამთავრების შემდეგ დაგროვდა მრავალი გადადებული პარტია. ამიტომ X ტურის შემდეგ მოეწყო მათი დამთავრება. ოთხ პარტიას ამთავრებდა ოსტატი ხასინი. მან პირველი დამარცხება მიაყენა გოლდბერგს. ყაიმზე შეუთანხმდა შიანოვსკის, ხოლო ორი პარტია ბონჩ-ოსმოლოვსკისა და მიკენასთან წააგო. ფურმანმა დაამარცხა ნეჟმეტდინოვი. ვასიუკოვი და გოლდბერგი ყაიმზე შეთანხმდნენ. კვლავ გადაიდო გოლდბერგ-ბლაგიძის პარტია.

ამრიგად, X ტურის შემდეგ წინ არიან: ტ. პეტროსიანი — 6,5 ქულა, ს. ფურმანი — 6 ქულა და ერთი გადადებული პარტია ე. გელერი და ე. ვასიუკოვი 6 ქულა თვითეულს.

**ა. პოლიაკი,**

**ჩვენი სპეც კორესპონდენტი.**

ეროვნული



საჭადრაკო ფიგურები ა. გაბუნიას კოლექციიდან.

# ნაპოვნია ქართული ჭადრაკი

ძველი ქართული ლიტერატურის საუკეთესო წოლვაწეებმა თავის შემოქმედებაში უმღერეს ჭადრაკს, მის მდიდარ და მიმზიდველ შინაარსს. ქართველმა ხალხმა თავის ყოფა-ცხოვრებაში მას ღირსეული ადგილი მიუჩინა, საჭადრაკო ცნებები ყოველდღიურ სალაპარაკო ენაშიც გადაიტანა. ყოველივე ეს არ არის შემთხვევითი, რადგან ჭადრაკის შინაგანი სამყარო კარგად გამოხატავდა ქართველი ერის ბრძოლით და სიბრძნით სავსე ცხოვრებას და ამიტომაც მას ადრე (VII-VIII საუკუნეებში) დაენათესავა.

გარდა ლიტერატურული და ხალხის ზეპირსიტყვაობაში შემონახული ცნობებისა ჩვენ არ ვიცოდით თუ რას წარმოადგენდა თვით ჭადრაკი, რომელიც ხელთ ჰქონდათ ჩვენს წინაპრებს. როგორი იყო მისი გარეგნობა, რისგან და როგორ აკეთებდნენ მას? ამას ყველაფერს ფარდას ახდიდა მხოლოდ მაშინდელი ჭადრაკის მონახვა. ასეთი წმინდა ქართული ჭადრაკი, რომ ნამდვილად უნდა არსებულიყო, ამაში გვარწმუნებდა შემდეგი ფაქტიც.

ძველ საქართველოში შეძლებული ოჯახი გასათხოვარ ქალს მზითვად სხვა განძეულთან ერთად ჭადრაკსაც აძლევდა, რომელიც მზადდებოდა სპილოს ძვლისაგან. აი ისტორიული საბუთიც, რომელიც 1712 წელს გაუცია მეფე ვახტანგ VI-ს ანუკა ბატონიშვილისათვის. ამ მზითვის წიგნში წერია: „საეროს წიგნისაგან: ვეფხისტყაოსანი ერთი, ჯაბულით დახატული ერთი; ლეილმენჯნუნი ერთი; უსუფ ზილიხანიანი ერთი; საამიანი ერთი; სათამაშო ჭადრაკი ერთი, ნარდი ბათაბადისა ერთი, განჯაფა ერთი“.

საბედნიეროდ ამას წინათ მოინახა შემთხვევით შემორჩენილი ასეთი ქართული ჭადრაკის კომპლექტი. ეს უნიკალური ჭადრაკი, რომელსაც ხედავთ აქ მოყვანილ სურათებზე, ეკუთვნის თბილისის სამხატვრო აკადემიის მასწავლებელს დ. ნ. ციციშვილს, რომელსაც იგი შეუძენია ცნობილი კოლექციონერის აწ გარდაცვლილის ა. გ. გაბუნიას კოლექციიდან, სხვა კომპლექტიდან ერთი ეტლი ბაგრატიონ-მუხრანსკის კოლექციიდან.



ეტლი ბაგრატიონ-მუხრანსკის კოლექციიდან.

ქართული ჭადრაკი თავისი გარეგნობით მომხიბლავი და მიმზიდველია. მისი ფიგურების აღნაგობა ქართული ნაციონალური იერის მატარებელია. კომპლექტი თითქმის სრულია. თეთრებს აკლია მხოლოდ ერთი პაიკი, ხოლო შავებს — ორი. თვითეული ფიგურა დამზადებულია სპილოს და ხარის ძვლისაგან. ნამუშევარს გამოცდილი ოსტატის ხელი ატყვია. იგი შესრულებულია ფაქიზად და გემოვნებით. ფიგურები გაფორმებულია ქართული ორნამენტისათვის დამახასიათებელი და ტრადიციული სპირალებით და მცენარეების ქარგით. მხედრის თავი ხასიათდება ძველი ქართული მინიატურებისა და სკულპტურული რელიეფისათვის დამახასიათებელი ნიშნებით.

მეტად საინტერესოა ეტლის მოყვანილობა, როგორც ამ კომპლექტში, ისე ბაგრატიონ-მუხრანსკისეულ ფიგურაში. საჭიროა აღინიშნოს, რომ ეტლის ანალოგიურ სფერულ ფორმას, ჩვენ ვერ ვხვდებით ჭადრაკის ძველებურ ევროპულ თუ აღმოსავლურ კომპლექტებში. ეს არ არის ტიპიური ევროპული ტურა ციხე-კოშკით, არც ინდური ეტლი და მით უფრო არც ირანულ და შუააზიულ ჭადრაკისათვის დამახასიათებელი ფრინველი რუხი. ამ სფერიული ფორმის განსაზღვრა შეიძლება მხოლოდ დაახლოებით. ცნობილია, რომ ქართულ საჭადრაკო ტერმინოლოგიაში ზოგჯერ კუს ეტლს უწოდებდნენ. კუ, როგორც ამბობს პროფ. შ. შალამბერიძე, წარმოიშვა ციხე-კოშკების კედლების სანგრევი ხელსაწყოების მსგავსების მიხედვით. ზემოდან ეს მანქანები ძალზე წააგავენ კუს; ამიტომ ქართველებმა ანალოგიით ამ ფიგურას შეარქვეს კუ. თუ მივიღებთ ამ დებულებას, მაშინ გასაგებია ქართული ჭადრაკის ეტლის სფერიული ფორმის არსებობაც. იგი ხომ კუს ჯავშანს ჰგავს, ხოლო ამ შემთხვევაში კუს თავი სტილიზირებულია ზემოდ მოთავსებულ არქიტექტურულ დეტალში.

საინტერესო და ჯერ გამოუცნობია მხედრების ერთი თავისებურება — თითო თეთრ და შავ მხედარს გაკეთებული აქვს ფაფარი, ხოლო მეორე წყვილს იგი არ აქვს. შეიძლება ამასთან არის დაკავშირებული ძველ ქართულ ჭადრაკში თამაშის რომელიღაც უცნობი წესი.

ისმის კითხვა. როდის უნდა გაკეთებულიყო ჭადრაკის ეს კომპლექტი? დ. ციციშვილი, რომელიც კარგი მცოდნეა ძველი ქართული მატერიალური კულტურისა, ფიქრობს, რომ იგი დამზადებული უნდა იყოს XVIII საუკუნის დამლევს ან XIX საუკუნის დამდეგს. ჩვენი აზრით ფიგურები თავისი ფორმით და სტილით მიეკუთვნება უფრო ადრეულ პერიოდს, სახელდობრ — XVII-XVIII საუკუნეებს.

ეს დასკვნები ჩვენ გავაკეთეთ ქართულ ჭადრაკთან პირველ გაცნობისას. შემდეგი სიტყვა ეკუთვნის სპეციალურ სამეცნიერო ექსპერტიზას.

ქართული ჭადრაკის მონახვას დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო ქართული მრავალსაუკუნოვანი საჭადრაკო კულტურის გაგებისათვის, არამედ ქართველი ოსტატ-ხელოსნების გამოყენებითი ხელოვნების შესწავლისათვის უკანასკნელ სამი ასეული წლის მანძილზე.

ქართული ჭადრაკის აღმოჩენას, რასაკვირველია დაინტერესებული საზოგადოება კმაყოფილების გრძნობით შეხვდება. მაგრამ ამით არ ამოიწურება ყველაფერი. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ოჯახებში კიდევ ბევრი იშვიათი ნივთის თუ ლიტერატურული წყაროს აღმოჩენა შეიძლება, რომლებიც ნათელს მოფენენ ძველ ქართულ საჭადრაკო კულტურას. ამიტომ საჭიროა, მათი გამოვლენა და შესწავლა.

**თ. გიორგაძე,**
**მ. ვადბოლსკი.**

## ვ. ბალავაძის ლექცია

საქართველოს სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელმა საზოგადოებამ 22 ნოემბერს გურჯაანის სარაიონო კულტურის სახლში მოაწყო ლექცია თემაზე: „საბჭოთა სპორტსმენები XVI ოლიმპიურ თამაშებში“.

ლექცია წაიკითხა მსოფლიოს ორგზის ჩემპიონმა თავისუფალ ჭიდაობაში, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ვახტანგ ბალავაძემ.

ლექცია, რომელსაც 500-მდე კაცი დაესწრო, დიდი ინტერესით იქნა მოსმენილი.

**თ. გოგიაშვილი**

## რუსეთის ზამთრის სპარტაკიადა

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის რსფსრ-ის ბიურომ მიიღო დადგენილება 1958 წლის იანვარ-მარტში რსფსრ-ს ხალხთა ზამთრის სპარტაკიადის მომზადებისა და ჩატარების შესახებ. სპარტაკიადის პროგრამაშია შეჯიბრებები სათხილამურო რბოლაში, ორჭიდში, სლალომში, ტრამპლინიდან ხტომაში, ციგურებით რბენასა და ფიგურულ სრიალში, შაიბიან ჰოკეიში.

მოსკოვის, ლენინგრადის, ავტონომიური რესპუბლიკების, ქალაქების, მხარეებისა და ოლქების გუნდების ფინალური შეხვედრები გაიმართება სვერდლოვსკში, კიროვსა და კიროვსკში.

## ნარევი

### გამოსავალი ყოველთვის მოიძებნება

ვერ მოასწრო არგენტინის ნაკრები გუნდის ცენტრალურმა თავდამსხმელმა ანჯელილომ ბოლო ბურთის გატანა სამხრეთ ამერიკის ჩემპიონატში, რომ იგი თავის შუამარბებთან ერთად გაცხარებული ვაჭრობის საგნად იქცა. არგენტინის ნაკრები მაშინ დიდ მზადებაში იყო მსოფლიო პირველობისათვის და გულშემატკივრები აღშფოთებული იყვნენ ასეთი დანაკლისით.

გამოსავალი მოიძებნა. სამხედრო მინისტრმა ანჯელილო გაიწვია ჯარში, ხოლო ჯარისკაცები არ იყიდებიან.

მაგრამ...

მაგრამ არ არსებობს ისეთი სეიფი, რომელსაც გამოცდილმა ქურდმა არ გამოუძებნოს გასაღები. ამჯერად
იტალიის ერთ-ერთი მდიდარი საფე
ბურთო კლუბის გასაღები მშვენ
რად მოერგო აღნიშნულ პრო
ლემას.

ანჯელილო ჯარისკაცია, მაგ
თავის სავალდებულო სამსახურს
ეწევა არგენტინის საკონსულოს
სამხედროებულ დაცვაში... მილან

ყველა კმაყოფილი დარჩა: კლ
რომელმაც ანჯელილო გაჰყიდა
მილიონად; კლუბი, რომელმაც იყ
არგენტინელი ფეხბურთელი, თ
ანჯელილო, რომელმაც 200 ათ
ლირა მიიღო ჯიბის ფულად. უ
ყოფილო დარჩა მხოლოდ არ
ტინელი მაყურებელი.

### ოსტატობა თუ ამხანაგობა

კანადელი მაგიდის ჩოგბურთის
ყვარულები ძალიან გაიტაცა თა
„გადავლებამ“, რომლის მიზანია
ჩის გაგრძელება, რაც შეიძ
დიდხანს. ბურთს ურტყამენ
რომ მოწინააღმდეგეს არ გა
დეს მისი აღება და საპასუხო
ტყმის შესრულება. ამგვარად,
დაში შეჯიბრებები თამაშის
ტობაზე გადააქციეს ამხანობ
მოცდად. დღეისათვის თამაშის
რძლივობის რეკორდი ეკუთვნ
ორტიუბიზსა და კ. ტრიუქონს,
მლებიც 13 საათისა და 10
განმავლობაში შეუსვენებლად
შობდნენ.

### მოგებული სანაძლეო

ინგლისელ სპორტსმენს
ვილსონს ვალების გადაუხდ
სათვის ციხეში ამოაყოფინე
მან სანაძლეო დასდო, რომ
შენობის ირგვლივ 50 მილს
ლომეტრს) გაივლიდა 12 სა
ტიმარმა ყოველგვარი ძალდ
ძაბვის გარეშე მოიგო სანაძ
დიდძალი თანხა. გადაიხადა
და ციხიდან განთავისუფლდა



ექიმმა ზაქრო თელიამ, რომელიც თბილისის „დინამოს“ კალათბურთელთა გუნდს ახლდა რუმინეთის სახალხო რესპუბლიკაში, რედაქციას გადასცა თავისი გადაღებული ფოტოსურათი, რომელზედაც აღბეჭდილია ბუქარესტის სტადიონზე რუმინეთისა და იუგოსლავიის ნაკრები გუნდების მსოფლიო პირველობის შესარჩევი მატჩის დაწყების წინა წუთები, როცა რუმინელ სპორტის მოყვარულთა „წინამძღოლი“ ჯენიკი ქოლგით ხელში „დირიჟორობს“ მაყურებელს.

ძია ჯენიკი, როგორც მას რუმინეთის დედაქალაქში უწოდებენ, ათასობით სპორტის მოყვარულთა სათაყვანო ადამიანია, პროფესიით ბუხჰალტერი. იგი არასდროს არ აცდენს თუნდაც მცირე მნიშვნელობის შეჯიბრებას. მას მოუთმენლად მოელიან სტადიონზე თუ სპორტულ დარბაზში მატჩის საყურებლად შეკრებილნი. იციან, რომ ძია ჯენიკი თავისი ომახიანი შეძახილებით სიცოცხლეს შეიტანს, აღაგზნებს შეხვედრის მსვლელობას.

• • •

სურათზე თქვენ ხედავთ ძია ჯენიკს თავისი „მოვალეობის“ შესრულების მომენტში.

**რედაქტორი ი. ...უგუ**

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12. დეპეშებისათვის თბილისი, „ლელო“
ტელეფონები: რედაქტორისა — 3-89-62, პ. მგ. მდივნისა და განყოფილებების — 3-90-34, მორიგისა და გამომშვების — 3-88-25.